

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის
კუკური ხეცურიანის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ჩემს მიერ პერიოდულად ხდებოდა მოსახლეობასთან შეხვედრები, სადაც დაყენებული იქნა საკითხები იმ ღონისძიებების შესრულების აუცილებლობის შესახებ, რომლების შეუსრულებლობა სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს მოსახლეობას. აღნიშნული საკითხები ჩემს მიერ ყოველთვიურად აღინიშნებოდა შეხვედრების ოქმებში და ცალკეული საკითხების შესახებ მოგახსენებდით წერილობითაც. მოსახლეობასთან შეხვედრებიდან გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომელიცაა: სოფ. უსახელოსა და ხოჯის შიდა საოფლო გზების კეთილმოწყობა, სოფ. უსახელოს ქვედა უბანში სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფ. უსახელოში ბაგა-ბაღის გახსნა, სოფლის სახლის სახურავის შეკეთება, სოფ. უსახელოს გურულების უბანში ბოგირის შეკეთება და გრუნტით გზის მოხრეშვა.

ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებიდან მიმდინარე წლის გასულ პერიოდში გაკეთდა : შერემონტდა საექიმო ამბულატორია. სოფლის პროგრამის მიხედვით სოფ. უსახელოში მოეწყო ქუჩის განათება, სოფ. ხოჯში გაკეთდა შიდა საოფლო გზებზე ბეტონის წყალგადამგდები არხები და ცხაურები, სოფ.უსახელოში ამჟამად მიმდინარეობს შიდა სასოფო გზის მონაკვეთის (200 მ) მობეტონებითი სამუშაოები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა შესრულდეს: სოფ.ქვედა უსახელოში მოსახლეობის წყალმომარაგება, დაზიანებული შიდა საავტომობილო გზის აღდგენა, გურულების უბნის გზის მოხრეშვა. სოფ. უსახელოს სარიტუალო დარბაზის სახურავის შეკეთება . ბაგა-ბაღის გახსნა.

უკვე მესამე წელია არ მოხერხდა ხოჯი -უცხერი (0,5კმ) გზის მოხრეშვა, რის შესახებ შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, მიუხედავად ამისა სამუშაოები დღემდე არ დაწყებულა, მაშინ როცა ამ გზის მოუხრეშაობა პრობლემას ქმნის. კერძოდ წვიმის დროს გზა ავტომობილებისათვის გაუვალი ხდება, რაც ხელს გვიშლის სოფ. უცხერიდან სოფ. უსახელოს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაში.

მოსახლეობასთან შეხვედრების დროს სისტემატიურად ხდება სოფ. უსახელოში მისასვლელი გზის ავარიულობის შესახებ საკითხის გააქტიურება, რის შესახებაც ჩემს მიერ არა ერთხელ იქნა საკითხი დაყენებული , როგორც საკრებულოში, ასევე მერიამში, მიუხედავად ამისა დღემდე არაფერი არ გაკეთებულა.

ყველა ზემოტ დასახელებული პრობლემების მოუწესრიგებლობა სამართლიან გულისწყრომას იწვევს მოსახლეობის მხრიდან, რაც ჩემს, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობას არაეფექტურს ხდის, მიმაჩნია, რომ საჭიროა რაიონული დონის ხელმძღვანელთა მხრიდან მეთი გულისხმიერებაა საჭირო მოსახლეობის საჭიროების მოგვარებისათვის.

იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალი წლის არჩევნებამდე მოხდება ყველა ამ პრობლემების იდენტიფიცირება და აუცილებელი ღონისძიებების გატარება, რაც გარკვეულად შეცვლის მოსახლეობის განწყობას, როგორც რაიონული, ასევე რესპუბლიკური მთავრობის მიმართ.